

ბანები და ფინანსები



მთავარი ჩვენს შესახებ არქივი პარტნიორები ფორუმი კონტაქტი

მთავარი თემები

- ბანები და ფინანსები
- პოლიტიკა
- საზოგადოება
- ბიზნესი
- ტურიზმი
- უმრავი ქონება
- ენერჯეტიკა
- სოფლის მეურნეობა
- მსოფლიო ეკონომიკა
- უცხოური პრესა

ტურიზმი : ტურიზმის განვითარებას საკუთრების უფლება ეწირება

ნანახია: 685



პროექტი, რომელსაც ჰქვია "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში", სამ კონკრეტულ ზონას მოიცავს - გონიოს, ანაკლიას და მესტიას. ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით, ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ - "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ", "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ", "მწვანე ალტერნატივამ" და "რეგიონალური მედიის ასოციაციამ" - საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტების შესწავლის შემდეგ სპეციალური ანგარიში წარმოადგინა, რომელშიც შევიდა გონიოში საკუთრების ჩამორთმევის ფაქტები.

არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებისგან საკუთრების უფლების აღიარების კომისიის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას და მიწის მესაკუთრებისათვის კომპენსაციების გადახდას მოითხოვენ.

თავიდანვე ეს მიწები უკანონოდ გასხვისდა, რადგან ეს იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონა და საკუთრების უფლების აღიარების კომისიას არ ჰქონდა მათი გასხვისების უფლება ...

ახალ ტურისტულ ზონებში მესაკუთრების დარღვეული უფლებების მაგალითად ოთხ არასამთავრობო ორგანიზაციას სპეციალურ ანგარიშში სოფელ გონიოში მომხდარი ფაქტები მოჰყავს.

გონიოში 271 ოჯახის საკუთრების უფლება დაირღვა. მათ მიწები საპრეზიდენტო არჩევნებამდე ჯერ დაუკანონეს, შემდეგ კი მოულოდნელად ჩამოართვეს. საკუთრების უფლების აღიარების კომისიის არგუმენტი ის იყო, რომ აღნიშნული ტერიტორია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონის ნაწილად ითვლებოდა, რაც რატომღაც არჩევნების წინ ამავე კომისიას არ გახსენებია. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს წარმომადგენელი ეკა ბოჯუჩავა ამბობს, რომ მიწები ხელისუფლებამ ჯერ უკანონოდ დაურიგა მოსახლეობას, შემდეგ კი ასევე უკანონოდ ჩამოართვეს. ?ავიდანვე ეს მიწები უკანონოდ გასხვისდა, რადგან ეს იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონა და საკუთრების უფლების აღიარების კომისიას არ ჰქონდა მათი გასხვისების უფლება. კანონი პირდაპირ არ კრძალავს ასეთი მიწის ნაკვეთების გასხვისებას, მაგრამ, სულ ცოტა, კულტურის სამინისტროს ნებართვაა ამისათვის საჭირო, რაც ასევე არ არსებობს. ამას ისიც ემატება, რომ ამ ნაკვეთების 90% საპრეზიდენტო არჩევნების წინაა დარეგისტრირებული და ასევე ერთბაშად ჩამოართვეს ამ 217 ოჯახს იგივე მიწის ნაკვეთი, აცხადებს ბოჯუჩავა.

ის ასევე განმარტავს, რომ მესაკუთრების ნაწილი მიწის დამუშავებას შეუდგა, ხარჯი გასწია, ნაწილმა ბინა გაყიდა და ადგილზე სახლის თუ სასტუმროს მშენებლობაც წამოიწყო და მიწაც სწორედ ამ დროს ჩამოართვეს. ნაწილმა სასამართლოში იჩილა, მაგრამ პროცესი წააგო. მაგალითად, სასამართლომ უარით გაისტუმრა ერთ-ერთი მესაკუთრე, ენვერ ირემაძე. გონიოელებმა თავიანთი

უფლებების დასაცავად არაერთი აქცია მოაწყვეს. მაგრამ გონიო არ არის გამოწვეული. ანგარიშის ავტორების თქმით, იმავე მიზეზით საკუთრების უფლება ირღვევა მესტიაში, ანაკლიაში, თბილისში. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი კახა კოჭორიძე ამბობს, რომ ხშირ შემთხვევაში მიწა, რომელსაც მესაკუთრეს ართმევენ, ცოტა ხანში ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაში აღმოჩნდება ხოლმე: "მაგალითად, ანაკლიაში ერთ-ერთი პირის საკუთრება, 40 ჰექტარი, ასე დაირეგისტრირა ეკონომიკის სამინისტრომ და ცოტა ხანში სხვას მიჰყიდა. ჩვენ სამართლებრივი დახმარება გავუწიეთ ამ ადამიანს, მაგრამ სასამართლო წავეგეთ, აცხადებს კოჭორიძე.

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" თავმჯდომარე მანანა ქოჩლაძე ამბობს, რომ რეგიონების განვითარება მდგრადი განვითარების გვერდის ავლით არ უნდა მოხდეს. და თუ მაინც ტურიზმის განვითარებას მესაკუთრების უფლება შეეწირება, მათ, სულ ცოტა, მიყენებული ზიანი მაინც უნდა აუნაზღაურონ.

კრძოლ საკუთრების - განსაკუთრებით კი ტრადიციული საკუთრების - ხელყოფა მდგრადი განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რადგან ამ შემთხვევაში მთლიანად ვცვლით იმ მოდელს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა იმისთვის, რომ ამ რეგიონის მოსახლეობა ეკონომიკურად აქტიური ყოფილიყო. მაგალითად, გონიოშიც და მესტიაშიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებდა ხალხი და უცვლელ ტურისტული ინფრასტრუქტურით ჩანაცვლება ყველაფრის იქ მცხოვრებთათვის უდიდესი ტრავმაა.

ეკონომიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი დავით ნარმანია ფიქრობს, რომ საზოგადოების ერთი ჯგუფის ინტერესის შელახვის ხარჯზე მეორის ინტერესების განხორციელება არ უნდა ხდებოდეს. მით უმეტეს, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ერთგვარი ოქროს შუალედის მოძებნის საშუალებას იძლევა, "შესაძლებელია, რომ მესაკუთრისგან კანონიერად მივიღოთ ესა თუ ის ქონება,

სიახლეები

ახალი ნომერი



პარტნიორები



სისტემაში შესვლა

სახელი

პაროლი:

შესვლა

- რეგისტრაცია!
- პაროლის აღდგენა

კალენდარი

« მარტი 2013 »

	1	2	3
4	5	6	7
8	9	10	11
12	13	14	15
16	17	18	19
20	21	22	23
24	25	26	27
28	29	30	31

ვალუტა

19-03-2013		
	1.6616	0.0033
	2.1528	-0.0129
	0.0538	-0.0193

CURRENCY RATES BY BOOM.GE

გამოკითხვა

სტატიების არქივი

- მარტი 2013 (85)
- იანვარი 2013 (32)
- დეკემბერი 2012 (169)
- ნოემბერი 2012 (196)
- ოქტომბერი 2012 (224)
- სექტემბერი 2012 (140)
- აგვისტო 2012 (140)
- ივლისი 2012 (114)
- ივნისი 2012 (116)



- მაისი 2012 (153)
- აპრილი 2012 (98)
- მარტი 2012 (175)
- დეკემბერი 2011 (41)
- ნოემბერი 2011 (152)
- ოქტომბერი 2011 (143)
- სექტემბერი 2011 (148)
- აგვისტო 2011 (141)
- ივლისი 2011 (134)
- ივნისი 2011 (146)
- მაისი 2011 (184)
- აპრილი 2011 (121)
- მარტი 2011 (135)
- თებერვალი 2011 (143)
- იანვარი 2011 (85)
- დეკემბერი 2010 (143)
- ნოემბერი 2010 (113)
- ოქტომბერი 2010 (97)
- სექტემბერი 2010 (26)
- აგვისტო 2010 (120)
- ივლისი 2010 (98)
- ივნისი 2010 (77)
- მაისი 2010 (92)
- აპრილი 2010 (40)
- მარტი 2010 (37)
- თებერვალი 2010 (40)
- იანვარი 2010 (59)
- დეკემბერი 2009 (34)
- ნოემბერი 2009 (51)
- ოქტომბერი 2009 (121)
- სექტემბერი 2009 (49)
- აგვისტო 2009 (17)
- ივლისი 2009 (94)
- ივნისი 2009 (91)
- მაისი 2009 (50)
- აპრილი 2009 (56)
- მარტი 2009 (121)
- თებერვალი 2009 (85)
- იანვარი 2009 (10)

ოოძელიც რაღაც ტიპის ბიზნესისათვის იყოს საჭირო. მათ შორისაა გადოსყიდვის ფორმა, ქირავნობის ფორმა. მესაკუთრეც კმაყოფილი იქნება ამ შემთხვევაში და არც ბიზნესის განვითარებას შეეშლება ხელი, აცხადებს ნარმანია. ის ასევე შენიშნავს, რომ მესაკუთრეების დარღვეული უფლებები და წაგებული სასამართლო პროცესები პირდაპირ კავშირშია სანქცესტიციო აქტივობის შემცირებასთან.

→ ბეჭედა



მთვლელები

139110
351
TOP.GE 200

